ფიქრობთ აივ/შიდსზე ტესტირებაზე?

ინფორმაცია სწორი გადაწყვეტილების მისაღებად

ახალგაზრდა მკვლევრებთა და ექიმთა ასოციაცია „ქსენონი"
Association of Young Psychologists and Doctors "Xenon"

OPEN SOCIETY INSTITUTE

რა არის აივ /შიდსი?

აივ – ეს შემოკლებული დასახელება ანუ პირველი ასოებია სიტყვებისა: ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ვირუსის სახელწოდება. აივ-ი უტევს, აზიანებს და ანადგურებს სისხლის თეთრ უჯრედებს-CD4 უჯრედებს, რომლებიც აყალიბებენ ორგანიზმის დაცვის მთავარ ხაზებს დაავადებების საწინააღმდეგოდ.

აივ-ინფექცია–ქრონიკული დაავადებაა, რომელიც ვითარდება აივ-ით ინფიცირების შედეგად.

შ-ეძენილი, რადგან ეს არის მდგომარეობა, რომელიც ინფიცირების შედეგია და არ გადაეცემა მემკვიდრეობით გენეტიკური გზით;

ი-მუნო, რადგან აზიანებს ორგანიზმის იმუნურ სისტემას, რომელიც ებრძვის სხვადასხვა დაავადებებს;

დ-ეფიციტის, რადგან იმუნური სისტემა კარგავს დაავადების გამომწვევმიზეზებთან(ვირუსებიბაქტერიები)ბრძოლის უნარს;

ს-ინდრომ-ი, რადგან ავადმყოფს აღენიშნება სხვადასხვა სიმპტომები და ოპორტუნისტული დაავადებები. სიმპტომების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია გარკვეული დაავადებებისთვის, არის სინდრომი.

როგორ ვითარდება აივ ინფექცია?

დაინფიცირება - ეს არის პერიოდი, როცა ვირუსი იჭრება ორგანიზმში და იწყებს პირველი უჯრედების დასნებოვნებას.

სეროკონვერსიული პერიოდი - ვირუსის ორგანიზმში შეჭრიდან 1-2 კვირა-6 თვე-მიმდინარეობს ვირუსის ინტენსიური გამრავლება.

ასიმპტომური პერიოდი - ავადმყოფობის ნიშნები, ხილვადი თუ ფიზიკურად შესაგრძნობი სიმპტომები არ აღინიშნება. დაინფიცირებულები გამოიყურებიან და თავს გრძნობენ ჯანმრთელად. ეს პერიოდი შეიძლება გაგრძელდეს რამდენიმე წლის მანძილზე და ხშირად ეს ხდება იმის მიზეზი, რომ დაინფიცირებული ადამიანი ვერ ხვდება თავისი მდგომარეობის შესახებ.

სიმპტომური პერიოდი - სტადიაა, რომლის დროსაც ვლინდება სხვადასხვა სიმპტომების ერთობლიობა. ამ სტადიაში ავადმყოფობის მკვეთრად გამოხატული სიმპტომები ჯერ კიდევ არ არის სახეზე. რიგ შემთხვევაში აღინიშნება უმადობა, წონის დაკლება,ციება,ადამიანი უფრო ხშირად და ადვილად ავადდება.

შიდსი–აივ-ინფექციის საბოლოო სტადიაა. ადამიანის იმუნური სისტემა განადგურებულია და უძლურია შეებრძოლოს ინფექციებს, რომლებიც ჩვეულებრივ პირობებში არ იწვევენ დაავადებებსა და სიმსივნეებს

დაავადების ტემპი სხვადასხვა პაციენტებში ვარიაბელურია და დამოკიდებულია:

- მასპინძლის ე.წ. დაცვით ფაქტორებზე
- ვირუსის ბიოლოგიურ თავისებურებაზე
- მნიშვნელოვნად იცვლება მკურნალობისა და პროფილაქტიკის ფონზე.

როგორ ხდება აივ-ით დაინფიცირება?

ვირუსის გადაცემა ხდება ორგანიზმის მხოლოდ შემდეგი ბიოლოგიური სითხეებიდან:

- სისხლი,
- სპერმა,
- ვაგინალური სეკრეტი,
- თავზურგტვინის სითხე,
- დედის რძე.

აივ-ი გადაეცემა:

- აივ-ინფიცირებული სისხლის გადასხმა-ტრანსფუზიით (რისკი ~ 100%);
- აივ-ინფიცირებულ ადამიანთან პრეზერვატივის გარეშე სქესობრივი კონტაქტის (ვაგინალური, ანალური და ორალური) დროს (რისკი ~ 30-45%);
- აივ-ინფიცირებულ ადამიანთან ერთად ნარკოტიკების ინიექციური (ნემსით) მოხმარებისას, საზიარო ნემსის, შპრიცის, ფილტრის, ნარკოტიკების მოსამზადებელი ჭურჭლის გამოყენების დროს (რისკი ~ 0,5%);
- არასტერილური სამედიცინო ინსტრუმენტების ხმარებისას;
- აივ-ინფიცირებული დედიდან შვილზე ორსულობის, მშობიარობის (რისკი~70-75%) და ძუძუთი კვების დროს (რისკი ~14%);
- სხვისი კბილების ჯაგრისისა და სხვისი საპარსის გამოყენებისას.

აივ-პოზიტიური პირი, ვირუსის განზრახ გავრცელებისათვის, კანონით ისჯება.

როგორ არ გადაეცემა აივ-ის ვირუსი?

- საყოფაცხოვრებო და სოციალური კონტაქტებით: ხელის ჩამორთმევით, ხვევნით, საერთო ტანსაცმლის გამოყენებით, საერთო ჭურჭლის გამოყენებით, საზოგადოებრივი ტუალეტით და აბაზანით სარგებლობით;

- ჰაერ-წვეთოვანი გზით: ნეწყვით, ხველით, დაცემინებით, კოცნით, საუბრით;

- მწერების და მათი ნაკბენების მეშვეობით.

ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი აღმოჩენილია დაბალი კონცენტრაციით: ნერწყვში, ცრემლში, ოფლში, შარდში, განავალში.
მედიცინაში არ არის აღწერილი ზემოთ აღნიშნული ბიოლოგიური მასალით ინფიცირების არც ერთი შემთხვევა.

ინფორმაციის დეფიციტი შიშს ბადებს, შიში-სტიგმას, სტიგმა კი დისკრიმინაციას.

როგორ გავიგო, ვარ თუ არა ინფიცირებული?

იმისთვის, რომ დავადგინოთ დაინფიცირებულია თუ არა ადამიანი აივ-ით, აუცილებელია აივ/ტესტის ჩატარება. აივ/ტესტი არის ანალიზი, რომლის საშუალებითაც განსაზღვრავენ ადამიანის ორგანიზმში ამ ვირუსების მიმართ ანტისხეულების არსებობას. ეს ანტისხეულები წარმოიქმნება დაინფიცირების შემდეგ მეორე კვირდან და პროცესი შესაძლოა დაჭიანურდეს სამ - ექვს თვემდე.

როდის უნდა ჩაიტარო ანალიზი?

იმისთვის, რომ ანალიზმა მოგცეს სარწმუნო პასუხი, საჭიროა სარისკო ქცევიდან გასული იყოს მინიმუმ სამი თვე. დროის მონაკვეთს, დაინფიცირების მომენტიდან ანტისხეულების გამომუშავებამდე "ფანჯარა პერიოდს" უწოდებენ. ამ დროს ტესტირების შედეგები შეიძლება იყოს უარყოფითი ან გაურკვეველი. ამიტომ, ვირუსზე შემოწმების დაგეგმარებისას, მნიშვნელოვანია დაინფიცირების სავარაუდო მომენტის ზუსტად გახსენება.

აივ ანტისხეულების განსაზღვრის მეთოდები ორ ჯგუფად იყოფა:

1) პირველადი ანუ სკრინინგული (სწრაფი-მარტივი, ELASA)
2) დამადასტურებელი ანუ კონფირმაციული მეთოდი (Vestern blot)

რა სიმპტომები ახასიათებს შიდსს?

- ტემპერატურის უმიზეზო მომატება 1 თვეზე მეტი ხნის მანძილზე;
- ლიმფური კვანძების გადიდება;
- ძლიერი საერთო სისუსტე;
- წონაში კლება სხეულის მასის 10%-ით და მეტად;
- მუქი წითელი ფერის ლაქები კანსა და ლორწოვანზე;
- გახანგრძლივებული პნევმონია, რომელიც არ ექვემდებარება მკურნალობას;

- ძლიერი ოფლიანობა, განსაკუთრებით ღამით;
- თეთრი ფერის ნადები პირის ღრუს ლორწოვანზე;
- პათოლოგიური მოვლენები ცენტრალური ნერვული სისტემის მხრიდან.

მოსაზრებები, თუ რამდენად შეიძლება აარიდო თავი აივ-ით ინფიცირების რისკს:

სწორად განსაზღვრე გარემო და ის სარისკო ქცევები, რომლებიც ზრდის აივ-ით დაინფიცირების რისკს:

ჰკითხე საკუთარ თავს:

- ვიცავ თუ არა თავს სქესობრივი კონტაქტების დროს?
- ვიყენებ თუ არა ყოველთვის პრეზერვატივს?
- შემიძლია თუ არა შევამცირო სექსუალური პარტნიორების რიცხვი?
- შემიძლია თუ არა დაველაპარაკო ჩემს სქესობრივ პარტნიორებს აივ-ით ინფიცირების რისკის თავიდან ასაცილებლად?

მივმართავ თუ არა უსაფრთხო ინექციას?

- ვიყენებ თუ არა ერთჯერად ნემსებს?
- ვიყენებ თუ არა სტერილურ ნემსებს?
- როგორ შემიძლია დაველაპარაკო მეგობარს, რათა სიტუაცია უფრო უსაფრთხო გავხადო?

განსაზღვრე, თუ რა რისკებთან ერთად ცხოვრებისთვის ხარ მზად.

გადაწყვიტე, რა გზებით შეცვალო რისკები, რომლებიც სხვაზე მეტად გაშინებს.

დაგეგმე, როგორ მოელაპარაკო სექსუალურ პარტნიორებს და მეგობრებს, რომლებთანაც ერთად ახდენ ინექციას.

აივ-ზე ტესტირებამდე ჰკითხე საკუთარ თავს:

- ვისი მხარდაჭერის იმედი შეიძლება მქონდეს, მანამ სანამ ტესტირების შედეგებს გავიგებ?
- აივ-ზე უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, როგორ შევინარჩუნო ეს მდგომარეობა და დავიცვა თავი უფრო მაღალი რისკ-ქცევებისგან?
- თუ ტესტის პასუხი დადებითი იქნება, მყავს თუ არა ოჯახის წევრი ან მეგობარი, რომელსაც შემიძლია ვენდო?
- მყავს თუ არა ექიმი, ან კონსულტანტი, რომელიც შესაბამის სამედიცინო კვლევას ჩამიტარებს?
- რომელი სექსუალური პარტნიორი და მეგობარი-ნარკომომხმარებელი უნდა ჩავაყენო საქმის კურსში?
- ვარ თუ არა მზად დადებითი პასუხისათვის

შიდსის დიაგნოზის დადგენა, მძიმე სტრესს წარმოადგენს და შესაძლოა ფსიქოლოგიური ტრამვა გამოიწვიოს. ამასთან, აივ-პოზიტიური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობა უხშირესად დამაკმაყოფილებელია. ამ პერიოდში პირველ პლანზე იწევს არა ჯანმრთელობის საკითხები, არამედ მწვავე და მძიმე განცდები: შიში,დეპრესია,დანაშაულის გრძნობა,გაბოროტება ან გაგონილის სრული უარყოფა.

ვირუსის სისხლში არსებობა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უკვე არის მძიმე ავადმყოფი. წლების მანძილზე შეიძლება ის იყოს ჯანმრთელი და არ საჭიროებდეთ მკურნალობას.

მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ არსებობს პრეპარატები, რომლებიც მოქმედებენ აივ-ის ვირუსზე და შესაზლებლობას იძლევიან მართვადი გახადოს დაავადება და შეანელონ მისი განვითარება.

აივ ინფექცია/შიდსზე მკურნალობა საქართველოში უფასოა.

რას გთავაზობთ ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია "ქსენონი"

- ტესტირება აივ-ინფექცია/შიდსსა და ვირუსულ ჰეპატიტებზე;
- სამედიცინო-ფსიქოლოგიური კონსულტირება ჯანმრთელობის სხვადასხვა საკითხებზე როგორც სატელეფონო "ცხელი ხაზის", ასევე პირისპირ ვიზიტების სახით.
- სპეციალისტების: ფსიქოლოგის, თერაპევტის, ნარკოლოგის გინეკოლოგის, პედიატრის იურისტის კონსულტაციები;
- მონაწილეობა სხვადასხვა თემატიკის ტრენინგებში;
- სოციალური თანადგომა;
- ერთჯერადი მოხმარების, თავდაცვის საგნებით საინფორმაციო მასალებით, უზრუნველყოფა.

ჩვენი მომსახურეობა უფასო და ანონიმურია

ახალგაზრდა ფსიქოლოგთა და ექიმთა ასოციაცია
“ქსენონი”

მის.:ზუგდიდი, პეტრე უბერის ქ. №1;
სამუშაო საათები: 10.00-18.00
(შაბათ-კვირის გარდა)

ტელ.: 8415 25 40 10